საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის
მოწვეული პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის
საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი N1

ქ. ბათუმი 27 თებერვალი 2025 წელი

სხდომას ესწრებიან:
ბსუ-ს რექტორის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის N01-02/25 ბრძანებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. **დალი მახარაძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. **გიული თავდგირიძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი (მდივანი);
3. **მაია ძაძამია**- ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);
4. **მზევინარ ბაკურიძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);
5. **რუსლან ცინარიძე** _ ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);

დღის წესრიგი:

1. საპროცედურო კომისიისაგან ,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N01-02/25 ბრძანების საფუძველზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის სისრულის (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის) შემოწმება, შეფასება.
2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტთან გასაუბრების ჩატარებისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

მოისმინეს 1: საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2025 წლის 19 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით პერიოდი. საპროცედურო კომისიაში შემოვიდა 1 ვაკანტურ თანამდებობაზე სულ 1 კონკურსანტის დოკუმენტაცია მატერიალური სახით .

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილების თანახმად, საპროცედურო კომისია ვალდებულია გადასცეს შესაბამისი ფაკულტეტის საკონკურსო კომისიას, მატერიალური სახით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. რის შემდეგაც კომისიის

თავმჯდომარის კომისიის წევრებთან შეთანხმებით საპროცედურო კომისიის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

პირველადი განხილვის საფუძველზე დადგინდა დოკუმენტაციის კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობა.

აზრი გამოთქვეს: ასისტენტ პროფესორმა გიული თავდგირიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა რუსლან ცინარიძემ. ღია კენჭისყრის საფუძველზე, კომისიის წევრებმა ერთხმად

დაადგინეს 1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული პერსონალის შესარჩევ კონკურსში კონკურსანტის - ნანა აბუსელიძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან.

მოისმინეს 2: ინფორმაცია კონკურსანტის პედაგოგიური და აკადემიური გამოცდილების შესახებ, მან აღნიშნა, რომ სრულად გავლილი აქვს ბსუ-ს დოქტორანტურა „გეომეტრია-ტოპოლოგიის" მიმართულებით, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ხელი შეეშალა სადოქტორო დისერტაციის დაცვაში. ამიტომაც უნივერსიტეტში სალექციო და პრაქტიკული საათების აღება მისთვის ერთგვარი სტიმული გახდება დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად. გარდა ამისა, იგი ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა კერძო და საჯარო სკოლებში. ამჟამად ატარებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასაუბრების საფუძველზე ცხადად გამოჩნდა კონკურსანტის ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება.

საკუთარი სურვილის თანახმად კონკურსანტმა ჩაატარა საცდელი ლექცია თემაზე: „ვექტორები, მოქმედებები მათზე, ძირითადი თვისებები, ვექტორთა კოლინეარობა და კომპლანარობა", სადაც ნათლად გამოიკვეთა მისი აკადემიური დონეც.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა: მაია ძაძამიამ და მზევინარ ბაკურიძემ. რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის წევრებმა. კერძოდ,

დაადგინეს 2: ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტთან გასაუბრების ჩატარებისა და შეფასების შედეგად ღია კენჭისყრის საფუძველზე გამოვლინდა გამარჯვებული კონკურსანტი - ნანა აბუსელიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ----------

მდივანი ----------